

შპს მეგა ცემენტი

ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვ. 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	გვ. 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	გვ. 5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	გვ. 6
განმარტებითი შენიშვნები	გვ. 7-13

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	980966	1776
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1792642	1681696
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	440658	271201
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	243695	23874
სულ მიმდინარე აქტივები		3457961	1978547
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (ნეტო)	6	1999378	2146989
სულ გრძელვადიანი აქტივები		1999378	2146989
სულ აქტივები		5457339	4125536
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	726689	1256502
სულ მიმდინარე ვალდებულებები		726689	1256502
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	4716735	2441360
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4716735	2441360
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	0	145600
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		13915	282074
სულ კაპიტალი		13915	427674
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5457339	4125536

შპს „მეგა ცემენტი“-ს სახელით




დირექტორი

შპს „მუგა ცენტრი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	10	9183114	14151744
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(8548744)	(13866252)
საერთო მოგება		634370	285492
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(519048)	(305314)
საპროცენტო ხარჯი		(192707)	(258921)
ცვეთა		(184526)	(107298)
საოპერაციო მოგება/ზარალი		(261911)	(386041)
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები (ნეტო)		0	0
არასაოპერაციო შემოსავლები			260812
არასაოპერაციო ხარჯები		(6248)	0
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		0.0	0.0
მოგება დაბეგვრამდე		(268159)	(125229)
მოგების გადასახადი		0	0
წმინდა მოგება/ზარალი		(268159)	(125229)
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული მოგება/ზარალი		(268159)	(125229)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0.0	0.0
სხვა		0.0	0.0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0.0	0.0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(268159)	(125229)

შპს „მეგა ცემენტი“-ს სახელით



დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი	0.0	0.0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,173.7	4,173.7
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	980966	1776

შპს „მეგა ცემენტი“-ს სახელით




დირექტორი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (01.01.2022)	427674
ახალი აქციების გამოშვება	
განაწილება მესაკუთრეებზე	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში(ზარალი)	(268159)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(145600)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (31.12.2022)	(13915)

შპს „მეგა ცემენტი“-ს სახელით



1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „მეგა ცემენტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია დაარსდა 2019 წლის 1 აგვისტოს. მისი სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404582153 და მისი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო.

შპს „მეგა ცემენტი“-ს ძირითადი საქმიანობაა ცემენტით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ქვეყნის ტერიტორიაზე.

კომპანიის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

რობერტ მაშავეი	50%
თეიმურაზ შუკაკიძე	50%
სულ	100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულლარში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოხლოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება

გრძელვადიან აქტივებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტისგათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

თვითღირებულების აღიარება

გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო იღებს შემოსავალს მოცემული პროდუქციის გაყიდვიდან. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტები ამ საქონლის რეალიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯია (მაგ. თავად საქონლისღირებულება, პირდაპირი ხელფასები, მიწოდების ხარჯები ა.შ.).

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული საღაროში	150575	212
ფული საბანკო ანგარიშებზე	830391	1564
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	980966	1776

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო დებიტორები	1792642	1681696
გაცემული სესხები	0	20300
სხვა წინასწარ გადახდილი თანხები	243695	3574
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2036337	1705570

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელისგან. მისი სტრუქტურა შემდეგია:

	2022	2021
საქონელი	440658	271201
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	440658	271201

6. ძირითადი საშუალებები

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგისასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების სვადა (წელი)	1 იანვარი, 2022	შემოსვლა	გასვლა	დაგროვ ილიც ეთა	31 დეკემბერი, 2022
შენობა ნაგებობა	50	413773			(41291)	372482
მანქანა დანადგარები	10	1796149	38816		(232134)	1602831
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	10	21850	0		(9135)	12715
ო ავტომანქანები	15	19145	0		(7795)	11350
ჯამი		2250917	38816		(290355)	1999378

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო კრედიტორები	587559	1188070
საგადასახადო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	121355	65432
მიღებული ავანსები	17775	3000
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	726689	1256502

8. გრძელვადიანი სესხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გრძელვადიანი სასესხოვალდებულებები

	2022	2021
სს თიბისის ბანკისგან მიღებული სესხები	4477235	428,594.0
შპს ფრანკო 431171199	239500	2139208
სულ გრძელვადიანი სესხები	4716735	2441360

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება მისი დამფუძნებლების მიერ კომპანიაში განხორციელებული ფულადი შენატანებით 2019-2022 წლების პერიოდში.

შპს „მუხა ცენტრი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

10. ამონაგები

	2022	2021
საქონლის მიწოდება	9183114	14143150
მომსახურების გაწევა	0	8594
სულ ამონაგები	9183114	14151744

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

	2022	2021
ნედლეული და მასალების გადამუშავების დანახარჯები	(7316417)	(13127902)
მიწოდებასთან დაკავშირებული	(1232327)	(738350)
სულ ამონაგები	(854744)	(13866252)

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის ადმინისტრირებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. მისი სტრუქტურა შემდეგია:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(294035)	(116517)
კომუნალური ხარჯი	(35935)	(17725)
საკონსულტაციო ხარჯი	(90138)	(49512)
სხვა ხარჯები	(35935)	(121560)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(305314)	(305314)